ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№2016-58

ქ. თბილისი 19 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ ,,**ერედვის მუნიციპალიტეტი**", მუნიციპალიტეტეის გამგებლის ოთარ ცოტნიაშვილის (შემდგომში ,,შემსყიდველი") სახით, და მეორეს მხრივ **ი/მ ,,რამაზ ცერცვაძის"** (შემდგომში ,,მიმწოდებელი") სახით, ვხელმძღვანელობთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის (მე-3 მუხლის ,,ს[1]" ქვეპუნქტი) მოთხოვნათა შესაბამისად. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტია: ერედვის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობისათვის (ოთახში, 7,95 მ^2) მეტალოპლასტმასის კონსტრუქციების დამზადება თანმდევი მონტაჟით.
1.2. კლასიფიკატორის კოდი (CPV კოდი) 44212320 (სხვადასხვა სახის კონსტრუქციები)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1200.00 (ათასორასი) ლარი 00 თეთრი.
(7,95მ^{2}X150,94=1200)

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები.

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **15 კალენდარული დღე.**
3.2. მიწოდების ადგილი- დ. აღმაშენებლის გამზირი №89/24 (ერედვის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა)

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 სექტემბრამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

5.1. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს" წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

6.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება ამ სფეროში არსებულ სტანდარტებთან და ტექნიკურ ნორმებთან შესაბამისობაში.
6.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.
6.1. „შემსყიდველი" ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს" ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
6.2. შეტყობინების მიღების შემდეგ „მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით.
6.3. თუ „მიმწოდებელი" ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „შემსყიდველს" უფლება აქვს „მიმწოდებლის" ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

7. ანგარიშსწორების ფორმა და მომსახურების მიწოდების ადგილი

7.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;
7.3. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.
7.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება ერთჯერადად, შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.
7.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

– შეამოწმოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

– განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პრობების დაცვაზე.

– უარი თქვას უხარისხო საქონლის მიღებაზე.

8.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

– წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

– მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

8.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

– მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

– გააფრთხილოს „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას.

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდება დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) კალენდარულ დღეში, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, ხოლო 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 მიწოდების საბოლოო ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო თანხის 1%-ის ოდენობით, ხოლო მიწოდების დასრულების 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.5 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა.

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11.3. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე: ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.6 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურეობის ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს – ერედვის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების,სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გოჩა ვაზაგაშვილი

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

15.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ერედვის მუნიციპალიტეტი	**ი/მ „რამაზ ცერცვაძე“**
ანგარიშსწორების რეკვიზიტები	ს/კ 43001033517
ს/კოდი: 218065055	მისამართი: ქ. თბილისი
მის: ქ. თბილისის, დ. აღმაშენებლის გამზ №89/24	მუხიანის დასახ. გობრონიძის 25
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს ,საქართველოს ბანკი”
ა/ა№ GE24MB0330100200165022	ბ/კ BAGAGE22
ბანკის კოდი TRESGE22	ა/ა № GE62BG0000000886705600
ტ: **595 339 400**	ტ: 599 98 13 57
ოთარ ცოტნიაშვილი	**რამაზ ცერცვაძე**

წერილი
სახელმწიფო შესყიდვის
(ხელშეკრულება №2016-58 19.07.2016 წელი)
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისას
ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ.

ქ.თბილისი **19 ივლისი 2016 წელი**

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა, 2016 წლის "19" ნოემბერს გაფორმებულ #2016-58 ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ერედვის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობისათვის მეტალოპლასტმასის კონსტრუქციების დამზადება-მონტაჟის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ერედვის მუნიციპალიტეტის
გამგებელი **ოთარ ცოტნიაშვილი**

ერედვის მუნიციპალიტეტის
ეკონომიკური განვითარების,სტატისტიკისა
და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გოჩა ვაზაგაშვილი**